გაერთიანებული საქართველოს მეფის ხელისუფლება

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების სისტემაში მოყვანა განსაკუთრებიტ ინტენსიურად მიმდინარეობდა დავით აღმაშენებლის დროს.

საქართველოს მმართველობის ფორმა იყო მონარიული, წყობილების მხრივ კი რთული სახელმწიფო. სახელმწიფოს განაგებს მეფე, საკანონმდებლო ორგანოა დარბაზი, აღმასრულებელი ორგანო- სავაზირო.

საქვეყნოდ გამრიგე მოხელე იყო გარკვეული ტერიტორიის მმართველი, გამგებელი, რომელიც სამეფო ხელისუფლების ნება-სურვილს ახორციელებდა.

საქართველო იყოფოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად.

საქართველოს მეფის უფლებამოსილება გამოიხატებოდა გამოთქმით: ***მართებანი*** და ***განსაგებელნი***. მართებანი- მეფის მოვალეობები, განსაგებელნი- უფლებები, ანუ რა უნდა განეგო მეფეს. მეფის უფლებამოსილებები: ***საგამგეო, სამხედრო, საერტაშორისო, საფინანსო, მართლმსაჯულებისა და საკანონმდებლო.***

მეფე იყო ქვეყნის მიწა-წყლის პოლიტიკური მფლობელი და არა კერძო მფლობელი.

მეფეს ჰქონდა საკანონმდებლო ფუნქცია, მაგრამ იგი არ იღებდა კანონებს ერტპიროვნულად, არამედ დარბაზთან თანამშრომლობით.

მეფის უფლებამოსილებებში ასევე შედიოდა მართლმსაჯულების ფუნქცია, თუმცა იგი არ განიხილავდა ყველა წვრილმან საკიტხს, მხოლოდ რთულს და მნიშვნელოვანს. მართმსაჯულების განხორციელებას მეფე დარბაზის თანადგომით ახორციელებდა. დავით აღმაშენებელმა შემოიღო უმაღლესი სასამართლო ორგანო- ***საჯო კარი.***

მეფის ფუნქციას ასევე წარმოადგენდა სამხედრო ფუნქცია. იგი იყო ჯარის წინამძღოლი, წვრთნიდა ჯარს, ნიშნავდა სამხედრო თანამდებობებზე და ასევე აგროვებდა ჯარს. მოგვიანებით მეფე კმაყოფილდება სამხედრო საქმის საერთო ხელმძღვანელობით და უშუალო ხელმძღვანელობას უთმობს ამირსპასალარს.

მეფეს ჰქონდა საფინანსო ფუნქცია, სახელმწიფო გადასახადისა და ბეგარისგან განთავისუფლება, და შინაური საქმეების გაძღოლა-მოწესრიგების ფუნქცი, საზღვრების დაცვა, მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვა.

მეფეს ასევე ევალა საგარეო ერთიერთობების მოწესრიგების ფუნქცია, ანუ მეზობელი თუ შორეული ქვეყნებიდან მოლაპარაკების გამართვა და ასე შემდეგ.

მეფეს მოეთხოვებოდა კარგი აღზრდა, ფართო და ზოგადი განათლება, მაღალი საომარი თვისებები, უნდა სცოდნოდა ბერძნული, სპარსული და ზოგჯერ არაბული ენები.

პოლიტიკური სრულწლოვნება იყო 16 წლიდან, სამხედრო-21, სქესობრივი ანუ საქორწინო ქალისთვის-12 ვაჟისთვის-14. ტახტს იკავებდა უფროსი ვაჟიშვილი, თუ არასრულწლოვანი იყო, უნიშნავდნენ მზრდელს. ტახტზე ასვლას მეფის ცხოვრებასჰი ეწოდება თანამოსაყდრეობა.

სამეფო ხელისუპლების ნიშნები: 1)გვირგვინი 2)პორფირი ანი მეფის ზედა მოსასხამი 3)სკიპტრა 4) მახვილი და ხმალი 5) დროშა (სამეფო და სეფე, ანუ სახელმწიფო) 6) სახელმწიფო ბეჭედი.

დარბაზი

დარბაზი იყო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ანუ სახელმწიფო საბჭო, ანუ სამეფო კარი. მისი ფუნქცია იყო დიდმნიშვნელოვანი სახემწიფო საქმეების განხილვა მეფის დასწრებით და მონაწილეობით, რთული იურიდიული საკიტხების გადაწყვეტა, დიდებული მოხელეების დასანიშნავად და ასე შემდეგ. მისი შემადგენლობა ბაგრათ IV-ს „ოპიზის სიგელის“ მიხედვით იყო: უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები, ერისთავთერისთავნი და ერისთავნი და ყველა ხეობის სასამართლო საქმის მცოდნე აზნაურები.(თუმცა ეს არ არის დარბაზის სტაბილური შემადგენლობა).

დარბაზი იმართებოდა ორი წესით: დიდი და მცირე.

დიდი სხდომა იყო ღია სხდომა რომელზეც დარბაზის წევრების გარდა, სხვა მოხელეებიც ესწრებოდნენ. დარბაზობა დიდი წესით დარბაზის საზეიმო სხდომაც კი იყო.

მცირე სხდომაზე მხოლოდ ნაღდი წევრები ესწრებოდნენ და ეს იყო საქმიანი სხდომა რომელის კომპეტენციაში შედიოდა: 1)კანონმდებლობის მეღიება, 2)უზენაესი მართლმსახულების განხორციელება, 3)ომის გამოცხადება ან ზავის დადება, 4) მაღალი თანამდებობის პირების არჩევა დანიშვნა, 5)სტუმარტა დახვედრა და მიღება, 6) დარბაზობა მეფის ხელდასხმისა თუ გამარჯვებული ლაშქრის დასახვედრად.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი

მ.ჭ იყო ვაზირთა შორის პირველი ანუ მწიგნობრების უფროსი. თავიდან ეს ორი თანამდებობა ცალ-ცალკე არსებობოდა, ხოლო დავით აღმაშენებელმა გააერთიანა ეკლესიის სახელმწიფოსთვის გაერთიანების მიზნით. მწიგნობარი მდივანს, მწერალს ნიშნავს.სამეფო კარზე 26 მწიგნობრის თანამდებობა არსებობდა. გამოირჩეოდა საწოლისა და ზარდახანის მწიგნობარი. საწოლის მწიგნობარი მეფესთან დაახლოებული პირია. მწიგნობარი ადგენდა საქმიან ქაღალდებს, ხელმძღვანელობდა დაწესებულების საანგარიშო განყოფილებას, მის გარეშე არცერთი საქმე არ წყდებოდა, გარდა ამისა იგი იღებდა მონაწილეობას სამხედრო საქმეებშიც, მეფესთან ერტად წყვეტდა ომის დაწყებას თუ არ დაწყებას. მეფის შემდეგ პირველი კაცი იყო. ზედამხედველობდა ყველა დარგზე, თუმცა არ ერეოდა მათში. ივ. ჯავახიშვილი მას პრემიერ-მინისტრს უწოდებს. მ.ჭ ასევე ებარა ეკლესია მონასტრები.

ათაბაგი

ათაბაგი სამთა ვაზირთა ჯგუფში შედის და პატივით უთანაბრდება ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს. მის ფუნქციას წარმოადგენდა უფლისწულის აღზრდა. ეს თანამდებობა ივანე მხარგძელის პირადი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქნა დაწესებული. იგი დიდი და საპატიო ვაზირი იყო, წოდებრივად ჭყონდიდელზე დაბლა, ამირსპასალართან ერთად არის. ათაბაგის თანამდებობა შეიძლება სხვა თანამდებობასთან ყოფილიყო შეერთებული.

ამირსპასალარი

ამირსპასალარი სამხედრო უწყების ხელმძღვანელია. მას ემორჩილებოდა მთელი ჯარი და ადგენდა ლაშქრობის გეგმას. უმისოდ მეფე მიწას ვერ გასცემდა, ვერც დასახლებულს და ვერც დაუსახლებელს.იგი შედის სამთა ვაზირთა ჯგუფში, მოიხსენიება ათაბაგის შემდეგ. მას ექვემდებარებოდნენ შემდეგი მოხელეები: ***ამირახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახანის უხუცესი, აჩუხჩი, ამირჩქარი და მერემეთუხუცესი.***

ამირახორი- ამირსპასალარის მოადგილე. წოდებით უტოლდებოდა მეჭურჭლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესს, მაგრამ სავაზიროს სრულუფლებიანი წევრი არ იყო. სარგებლობდა სათათბირო ხმის უფლებით დარბაზობის დროს. ხელმძღვანელობდა ცხენოსან ლაშქარს.

მეაბჯრეთუხუცესი და ***ზარდახანის უხუცესი-*** მათ ხელში იყო სამეფო აბჯარ-იარაღის საწყობები. ამილახორის ხელქვეითები.

აჩუხჩი- მეფის დაცვის უფროსი.

ამირჩქარი- მასზე ცნობები ჯერ არ არის ზუსტი.

მერემეთუხუცესი- ჩაბარებული ჰქონდა საგანგებო დაწესებულება **სარემო.**

მანდატურთუხუცესი

არსებობოს მეთერთმეტე საუკუნიდან. შედის საპატიო ვაზირთა სამეულში. უთანაბრდება ათაბაგს და ამირსპასალარს. მანდატურებს სხვადასხვა ფუნქცია აქვთ, ისინი მეფის მცველები არიან, სავაზიროს სხდომის დროს იცავენ წესრიგს, ზოგჯერ ხელმძღვანელობენ და ზედამხედველობენ მეფის ვენახების სამუშაოებს. არ მონაწილეობენ ომსა და ლაშქრობაში, რჩებიან სამეფო კარზე წესრიგის დამცველებად. მანდატურთუხუცესის მითითებით სრულდებოდა დარბაზობის განაწესი. მანდატურთუხუცესები ატარებდნენ ოქროს არგანს,მანდატურები ვერცხლისას. მას ჰყავს მოხელეები:

ამირეჯიბი- მოადგილე.მას ყოველთვის შეეძლო მეფის ნახვა. აქტიურად მონაწილეობდა დარბაზობის დროს. ესწრება ვაზირთა სხდომას და ისეთივე პატივი აქვს, როგორც ვაზირებს. ემორჩილებიან *ეჯიბები, გამგეთუხუცესი და მესტუმრე.*

ეჯიბი- კარისკაცი.

მესტუმრე- ევალებოდა მოციქულთა დახვედრა, მეძღვნეთა დასაჩუქრება.

განმგეთუხუცესი- დგას ამილახორზე და ამირეჯიბზე დაბლა. არ ჰქონდა ვაზირობაზე დასწრების უფლება. (იტოგში ხუი ივო მამუ ზნაიტ, პაბალშომუ ყველას ჩმორი იყო და რასაც ეტყოდნენ იმას აკეთებდა) ***ემორჩილებოდნენ საგანგებოს უფროსი, მეჯამეთუხუცესი და სარემოს ნაცვალი.*** (ჯამების უფროსი რო ხარ მეტს არ უნდა ელოდო რო ჩმორის ქვეშევრდომი იყო).

მეჭურჭთლეთუხუცესი

ორთა ვაზირთა ჯგუფშია. განაგებდა საჭურჭლეს. მისი მოადგილე იყო *ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცესისა.* განაგებდა სახელმწიფო ხაზინას. მის დაქვემდებარებაში არ შედიოდა სალარო(მსახურთუხუცესის). სალარო იყო არაყოველდღიურად სახმარი განძის საწყობი. მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ: *საჭურჭლის ნაცვალი, მუშრიბი, საჭურჭლის მუქიფი და მეჭურჭლეები.*

მუშრიბი- ზედამხედველი. დავალებული ჰქონდა ბაჟისა და სავაჭრო ფუნქცია.

საჭურჭლის მუქიფი- ძღვენთა გამგე. ექვემდებარებოდნენ მეჭურჭლეები.

მსახურთუხუცესი

რუსუდან მეფემდე მსახურთუხუცესი არ ყოფილა ვაზირი, იგი რუსუდანს გაუხდია. ორთა ვაზირთა ჯგუფშია. მას ექვემდებარებოდა: *სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხილეთუხუცესი.*

მეხილეთუხუცესი- ექვემდებარებოდა სახილე და მეხილეები.

ციცხვთუხუცესი- მისი მოხელეები იყვნენ ციცხვნი, განაგებდნენ სასახლის ჭურჭელს, შინ სახმარ სხვადასხვა ჭურჭელს, აბანოს გათბობას, სახლის დაგვას, შეშის დაჩეხვას და ა.შ.

ქართლის მეფე და მისი უფლებამოსილება

მეფე

გვიანფეოდალურ ქართლში სუსტდება მეფის ინსტიტუტი. ეს ჩანს იქიდან, რომ სამეფოს მეთაური მსხვილი ფეოდალების რანგშია, მას ბატონსაც უწოდებდნენ ხოლმე. ამ პერიოდში სიგელებზე მეფეთან ერტად ხელს აწერდნენ დედოფალი, ბატონიშვილები და სხვა მოხელეები. არც სისხლის სამართლის სისტემა იყო მოგვარებული. ამ პერიოდისთვის მეფეს შერჩა საკანონმდებლო ფუნქცია, რომლსაც იგი დარბაზთან ერტად ახორციელებდა(ზოგიერთ კანონს მხოლოდ მეფე იღებდა, მაგ:დასტურლამალი). ასევე მეფეს ჰქონდა უმაღლესი მმართველობის განხორციელების ფუნქცია(სამეფო კარის მარტვა, სამხედრო გამგებლობა, საეკლესიო გამგეობა, საფინანსო მმართველობა, საგარეო ურთიერტობების მოგვარება). მეფეს ამ საკითხებისთვის შეეძლო მოეკიდა ხელი, სხვა შემთხვევაში ამას ახორციელებდა ვაზირი. მეფის მმართველობა გამოიხატებოდა სათანადო მოხელეთა დანიშვნასა და მათ კონტროლში. მეფე აწესებდა გადასახადებს, ბაჟს, ადგენდა მათი აკრების წესებს, ნიშნავდა სამხედრო საქმის სპეციალისტებს, აკონტროლებდა მათ საქმიანობას.

სახელმწიფო საბჭო(დარბაზი)

გვიანფეოდალურ ქართლში სამეფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. დარბაზის წევრების უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბებულია „დასტურლამალში“. მასში საბჭოს სხდომას არა დარბაზობა, არამედ მეჯლისი ეწოდება. მას ესწრებოდა მდივანი,

სახლთუხუცესი და ნაზირი. მდივანი აღნუსხავდა აქ განხილულ საკითხებს. მეჯლისსზე ადგენდნენ საქმიან საბუთებს ან სიგელებს, იხილავდნენ სამეფოს მმართველობის სხვადასხვა საკითხს. შესაძლოა განხილულიყო რაიმე სასამართლო საქმე. სახელმწიპო საბჭოში მონაწილეებს „დარბაისელებს“ ეძახდნენ. არ გააჩნდა რაიმე რეგლამენტი. იწვევდა მეფე და თავჯდომარობდა. დარბაზის შემადგენლობა არ იყო ზუსტად განსაზღვრული. დარბაზი ქართლის მეფის სათათბირო ორგანოსაც წარმოადგენდა.

თანამონაწილეობა

ორკერძოვე დანაშაული- ორი პირი მონაწილეობს, ორივეს თანაბარი ბრალი მიუძღვის.

ქართული სამარტალი განასხვავებს თანამონაწილეთა სახეებს. **განმზრახი-** სხვისი დახმარებით ცდილობდა გულში ჩადებული ბოროტი აზრის განხორციელებას.

ბოროტმოქმედთა მოლაპარაკება **შეზრახება** იყო. შეზრახების თითო მონაწილეს **თანამზრახველი** ეწოდება. თუ მოგვიანებით შეუერთდებოდა **განზრახის თანამოწმე.** დანაშაულში მონაწილეობას **თანადგომა** ეწოდებოდა. ხოლო ბოროტების ჩამდენს **მეშუელი**.

თანადგომის აღმნიშვნელი ტერმინებია:

თანაშემწე- თანამოქმედი, მოქმედებდა დამნაშავესთან ერთად.

ძალისმცემელი- არ იყო უშუალო მონაწილე, მაგრამ ეხმარებოდა ბოროტების განხროციელებას.

შინათგამცემელი- ეხმარებოდა შიანური საიდუმლოს გამჟღავნებით.

დანაშაულის სუბიექტი ქართულ სამართალში

დანაშაულის სუბიექტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო ქმედების ჩამდენის სათანადო ასაკი. ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნის მიხედვით 10 წლამდე ბავშვს სისხლის სამართლის პასუხისმგელობა არ ეკისრება, მშობლებს ევალებათ დაზარალებულის მკურნალობის ხარჯების დაფარვა, ან თუ გარდაიცვალა დაზარალებული მისი დამარხვის ხარჯების დაფარვა.

მეორე დამახასიათებელი ნიშანი დანაშაულის სუბიექტისა იყო შერაცხადობა. ძველი საეკლესიო სამართლიდან ჩანს, რომ შეურაცხადი პირი თავისუპლდება პასუხიმგებლობისგან. სიმთვრალის დროს მკვლელობა, ვახტანგ მეექვსის კრებულიდან, უფრო მკაცრად ისჯება. შეურაცხადობაზე კი ამ კონონტა კრებულში არაფერია ნახსენები.

სასჯელის მიზნები და სახეები ქართულ სამარტალში

1)როგორია სასჯელი უძველესი პერიოდიდან მონღოლთა შემოსევამდე:

1)სიკვდილით დასჯა
2)სხეულის დამასახიჩრებელი სასჯელები (სხეულის ნაწილების მოკვეთა)
3)ექსორია და გაძევება
4)ტავისუფლების აღკვეთა
5)მტკივნეული სასჯელები(მათრახის რტყმა)
6)ქონების კონფისკაცია
7)მოქალაქეობრივი უფლებების დროებით ან სამუდამოდ ჩამორთმევა
8)ქონებრივი საქღაური სახელმწიფოს, ფეოდალის ან სასამართლოს სასარგებლოდ
9) დაკრულვა და სხვა საეკლესიო სასჯელები.

2) როგორია ეს ინსტიტუტი შემდგომ პერიოდში.

მონღოლების შემოსევის შემდეგ, სახელმწიფო სუსტდება და ვეღარ ებრძვის დანაშაულს და ადგილს იჭერს მხარეთა შორის მორიგება. ძირითად სასჯელად იქცევა ქონებრივი ანაზღაურება. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულში რამდენიმე მუხლი პირდაპირ მიუტითებს სასჯელის მიზანზრ, რომ მან უნდა დააშინოს დანაშაულის ჩამდენი. ამ კრებულში ბევრი მუხლია სამაგიეროს მიზღვის საშუალებაზე.(სასჯელის მიზანი უნდა იყოს კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა და არა სამაგიეროს მიზღვა.)

ძველი ქართული სამართალი სხვა სახელმწიფოების სამართალთან შედარებით ჰუმანური იყო. წამების ფორმით სიკვდილით დასჯა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იყო დაშვებული, მაგალითად სამშობლოს ღალატის შემთხვევაში.სასჯელის კომპენსაციას აღწევდა შეწყალების, პატიების, აღმზრდელობითი ღონისძიებებით.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში პირდაპირ არ არის ნახსენები სიკვდილით დასჯა, თუმცა მოხლები როგორიცაა 33,82,82,221,222 გვაფიქრებინების, რომ ამ ქმედებათა ჩადენისთვის შესაძლოა სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა. მაგალითად მეფის, კატალიკოსის უფლისწულის მკვლელობა მკაცრად დაისჯებოდა, სავარაუდოდ სიკვდილით(33 მუხლი). ასევე გავრცელებული სასჯელები იყო:
1)დამასახიჩრებელი სასჯელები
2)ტკივილის მიმყენებელი სასჯელები
3)თავისუფლების აღკვეთა
4)გამაწბილებელი სასჯელი(დამცირება და ზნეობრივი ტანჯვის მიყენება)
5)ქონებრივი სასჯელი
6)ჯარიმა
7)საეკლესიო ხასიათის სასჯელები(დაკრულვა, შეჩვენება)

ძველად მიიჩნეოდა, რომ სასჯელის წარმოშობა იყო ღმეთის ნება, რომლის მიზანი იყო დამნაშავის დაშინება და გამოსწორება.

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით არსებობოს ოთხი მიზანი სასჯელის დანიშნულებისას:

1) დამნაშავის ზნეობრივი გამოსწორება, ანუ გაწურთნა.

2) საერო და საეკლესიო სამართალში წარმოადგენდა დამნაშავე პირთა მიმართ ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება. ეს გამოიყენებოდა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ბოროტმოქმედის გამოსწორება ვერ ხერხდებოდა სხვა გზით.

3) თუ დამნაშავეს ჰქონდა მიდრეკილება დანაშაულისადმი მის მიმართ გამოიყენებოდა ექსორია ან გაძევება. ამის მიზანი იყო საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა, საზოგადოების გაწმენდა.

4) დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცილება, პრევენცია.

დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებები

1)ჭკუასუსტობა და შეურაცხადობა(უძლური გონებისაი)

2)ექვთიმე მტაწმინდელის აზრით 30 წლამდე პირი უნდა ისჯებოდეს მაგრამ მსუბუქად. სისიხლის სამართალში პასუხისმგელობა დაწესებული იყო 10 წლის ასაკიდან,ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნში მოცემულია 15-16 წლიდან, უკიდურეს შემთხვევებში 21-22 წლიდან(სამხედრო სამოქალაქო სრულწლოვნება).

3) იძულება. უფროსის, მეფის ან სხვა დიდი ხელისუფლის ბრძანების აღსასრულებლად და მათი ბრძანების აღსრულების შიშით ჩაიდინა დანაშაული ან ომიანობისა თუ თავდასხმის დროს იძულებული იყო თავი დაეცვა.

დამამძიმებელი გარემოებები

1)მეორედ ჩადენილი დანაშაული.

2) ცოდვისმოყვარეობა ან თავხედი კადნიერების გამჟღავნება

3)ახლო ნათესავის მიმართ ჩადენილი დანაშაული,მკვლელობა, სისხლის აღრევა.

4)თანამდებობის პირთა განუკრძალველობა(მოურიდებლობა)

5)საპატიჟო ადგილას ჩადენილი დანაშაული.(სალარო ან ეკლესია, ჯოგი) ასევე საკრძალავ ადგილთა შეხება და დაშავება.

პასუხისმგებლოსბის გამომრიცხველი გარემოებები

1)ომის დროს მტრის მოკვლა

2)განზრახვსი გარეშე მკვლელობა(იმ შემთვევაში თუ დამნაშავესა და მოკლულს შორის არ იყო ქიშპი და მტრობა, ამ შემთხვევაში იმართლოს თავი ან გადაიხადოს სისხლის ფასი)

3)თუ დამხვდური მოკლავს თავდამსხმელს. კანონი დუმს იმ საკითხის შესახებ თუ ბატონი დაესხა ყმას.

4)პირველად თუ უფროსმა კაცმა ააცილა მახვილი ყმას და მეორეჯერ მოუქნია, ყმას აქვს უფლება მოკლას ეს კაცი

5) თუ ბატონო ყმის ოჯახის ცოლქმრული სიწმინდე შელახა, ყმას აქვს უფლება რომ მოკლას იგი.

6)ქმარს აქვს უფლება მოკლას მორალატე ცოლი.

7)თუ კაცს ქურდი შეეპარა და კაცმა მოკლა იგი.